

ქართული სიმღერა უელსში და მის ფარგლებს გარეთ

ნაწილი პირველი

საწყისების, გამოვნების და წარმოსახვის ღირებულება

ჩემი პრეზენტაცია, ილუსტრირებული ვიდეოთი, სლაიდებით და სიმღერის ჩანაწერებით, შეეხება ქართული სიმღერის ზეგავლენასა და განვითარებას უელსში. აქ სიმღერა, კერძოდ, სიმღერების შესრულება სხვა კულტურიდან, მიჩნეულია როგორც ურთიერთგაგებისა და ურთიერთგაცვლის საშუალება, აგრეთვე განიხილება ახალი ტრადიციის დამკვიდრება ტრადიციის შიგნით (უელსი ხომ თვითონ „სიმღერის ქვეყანაა“). ჩემი გამოსვლა გამოავლენს ენთუზიაზმს იმ უძველესი პოლიფონიის მიმართ, რომელიც იმღერებოდა უელსურ გაერთიანებებსა და საშემსრულებლო სწავლებებზე.

1994 წელს მე, როგორც უელსის საშემსრულებლო კვლევის ცენტრის დირექტორმა, ედიშერ გარაყანიძე და სოსო ჟორდანიძე მივიწვიე კარდიფის კონფერენციაზე. ამ კონფერენციაზე არ იყვნენ მონაწილე ეთნომუსიკოლოგები და იგი არ იყო მუსიკის შესახებ – ეს კონფერენცია გახლდათ საქმელზე. „ურთიერთობის ფორმები: შემსრულებლობა, საკვები და კულინარია“, რომლის მიზანი იყო გამოეკვლია მსგავსება სამზარეულოსა და შესრულებას შორის და მოეხდინა ქართული სუფრის ჩვენება. კონფერენციის მთავარ ატრიბუტს წარმოადგენდა დელეგატებისათვის განყოფილი ქართული სუფრა, თავისი სადღეგრძელოებით, სუფრული სიმღერებით და 12 ქართული კერძით, რომლებიც საკვების ისტორიკოსის, დარა გოლდსტეინის რეცეპტების მიხედვით მომზადდა. ჩემი გამოსვლის ამ ნაწილში შევიტყობთ, თუ როგორ და რატომ მოეწყო ეს დღესასწაული, რა ამოძრავებდა მის ორგანიზატორებს და რა შედეგი გამოიღო მან.

მრავალი წელია, რაც საქართველო ჩემს წარმოსახვაში არსებობდა; 70-ანი წლებიდან დავიწყე მსოფლიო მუსიკალური ჩანაწერების შეგროვება. ინტერესის ძირითადი სფერო გახლდათ ხმა და მისი ექსტრაორდინალური შესაძლებლობანი: სოლო და გუნდური, a capella და თანხლებით. დღესდღეისობით ჩემი კოლექცია მოიცავს 2500-ზე მეტ დისკს. აქედან პირველი ორმოცდაათი, რომელიც 1977 წლის შენაძენს წარმოადგენს, მოიცავს ქართული მრავალხმიანობის უნიკალურ ჩანაწერებს. მე ჯერ კიდევ მახსოვს ის შეგროვება, როცა პირველად მოვისმინე ქართული ხალხური სიმღერა.

ქართულ მრავალხმიანობასთან კონტაქტმა, სადაც ხმები არა მარტო მომხიბვლელი და ამაღლებველი, არამედ მრავალმნიშვნელოვანი სმენითი ფუნქციის მატარებელია, გამიჩინა კითხვა, შეიძლება თუ არა წარმოიდგინოთ ნაციის ვოკალური წყობა, რომელიც აყალიბებს კულტურას და გვეხმარება მის განსაზღვრაში. სინათლე ბგერაში, ჰარმონიისა და დისონანსის აკუსტიკური შერევა – ეს მყარი ტრადიციების უძველესი სამყაროა, სადაც ვოკალური წყობა თვალწინ გადაგვიშლის შესანიშნავ პოლიფონიურ გარემოს.

თქვენ ახლა იცით, რომ ქართული მრავალხმიანობა ჩემს სულში და გონებაში უკვე 25 წელია ჟღერს. თქვენ ისიც იცით, რომ მე არც მუსიკოსი ვარ და არც ეთნომუსიკოლოგი. იბადება კითხვა – რატომ არის ჩემთვის ასეთი

მნიშვნელოვანი აქ ყოფნა და თქვენს ქვეყანაში მოგზაურობა. მე ვარ თეატრალური მოღვაწე, ვხელმძღვანელობ სპექტაკლებს და ვქმნი კვლევის პროექტებს. მე შევეცდები წარმოგისახოთ ჩემი მოგზაურობა, რამაც ჩამომიყვანა აქ, და აგიხსნით რამ წარმომიშვა ასოციაციები ჩემს სამშობლოსთან – უელსთან.

გარდა იმისა, რომ ვარ უელსის აბერტვისის უნივერსიტეტის უფროსი მკვლევარი და კვარტალური ჟურნალის „საშემსრულებლო კვლევა“ მთავარი რედაქტორი, პასუხისმგებლობა მაკისრია, როგორც საშემსრულებლო კვლევის ცენტრის (CPR) სამხატვრო ხელმძღვანელს. ესაა ჯუდი ქრისტისა და ჩემს მიერ 1988 წელს დაარსებული მრავალწახნაგოვანი საქველმოქმედო, საგანმანათლებლო თეატრალური ორგანიზაცია, რომელიც დაფუძნებულია უელსში და მუშაობს საერთაშორისო მასშტაბით. ის გამოსცემს ნოვატორულ საშემსრულებლო ნამუშევრებს, აწყობს სესიებს, კონფერენციებს და აწარმოებს საერთაშორისო მნიშვნელობის გაცვლით პროგრამებს. გამოსცემს და აქვეყნებს თეატრალურ წიგნებს. მისი წინამორბედი, კარდიფის ლაბორატორიული თეატრი დაარსდა უელსში 1974 წელს. ჩვენ მრავალი წლის განმავლობაში ვუფრთხილდებოდით ჩვენს ფასეულობებს. 1996 წელს CPR გადავიდა აბერტვისში და შეუერთდა უელსის უნივერსიტეტს, რომლის შესანიშნავი შესაძლებლობების გამოყენებით, ახორციელებს უფრო მეტ საერთაშორისო პროექტებს დასავლეთ უელსში,

საშემსრულებლო კვლევის ცენტრის მრავალ საკითხთაგან პროგრამა „ურთიერთობის ფორმები“ არის საერთაშორისო კონფერენციების სერიათა გაგრძელება, რომლის მიზანია განიხილოს კვლევითი სამუშაოების არსი და სხვადასხვა დისციპლინების კავშირი და დაპირისპირება საშემსრულებლო სწავლებასთან, ჩაატაროს კრიტიკული დებატები. სერიის პირველი შვიდი მოვლენა იყო: თეატრი, ანტროპოლოგია და თეატრი-ანტროპოლოგია (1988); შემსრულებლობა, რიტუალი და შამანიზმი (1993); შემსრულებლობა, საჭმელი და კულინარია (1994); შემსრულებლობა, ტურიზმი და იდენტურობა (1996) და შემსრულებლობა, წარსული და მხარე (1998), რომელიც არქეოლოგიებთან მუშავდებოდა. სამომავლო თემებს წარმოადგენს: შემსრულებლობა, სახელეები და ბალები: შემსრულებლობა, ჯანმრთელობა და მედიცინა. თქვენ შეიძლება გაგიკვირდეთ, რა კავშირი აქვს ამ ყველაფერს ქართულ მრავალხმიანობასთან. სწორედ ამ სერიის მე-5 შეხვედრაზე: „შემსრულებლობა, საკვები და კულინარია“, მოვინვიეთ პირველად ედიშერ გარაყანიძე და იოსებ ჟორდანიას უელსში, რათა ადგილობრივ მომღერალთა გუნდთან მუშაობით ჩამოეყალიბებინათ ქართული სიმღერების რეპერტუარი, შემდეგ კი მონაწილეობა მიეღოთ ქართულ სუფრაზე, როგორც თამადაებს, წვეულების მასპინძლებსა და გუნდის ხელმძღვანელებს. კონფერენციის მიზანი იყო, განეხილა თემები, რომლებიც ასახავდა მსგავსებას საკვებს, მის მომზადებასა და სამზარეულოს შორის. ჩვენ გვინდოდა ერთად მოგვეყარა თავი სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლების, მზარეულების და მეცნიერებისათვის და მათთან გვეთანამშრომლა. ჩვენ დავპირდით, რომ მონაწილეები ისიამოვნებდნენ იმ სანახაობით, როცა მოხდებოდა საკვებისა და მისი მომზადების, თეორიისა და პრაქ-

ტიკის გადაკვეთა. კონფერენციის პროგრამა მოიცავდა საკვების მომზადების დემონსტრაციას, აგრეთვე სამეცნიერო ნაშრომებს, ფილმებს, ტრადიციულ ბანკეტში მონაწილეობას, არაჩვეულებრივ ნადიმებსა და დელიკატესებს.

რამდენიმე ფრაზა, რომელიც გამოცხადდა კონფერენციის ანონსში, წაიკითხა ჩემმა ძველმა მეგობარმა და კოლეგამ – ნიგელ ვატსონმა. მან დამირეკა და მკითხა – „რა სახის ბანკეტებისა და ნადიმების მოწყობას აპირებთ? შემიძლია მოგიყვებთ ქართული სუფრის ტრადიციების შესახებ“. ჩვენ რამდენიმე საათში შევხვდით ერთმანეთს.

ნიგელ ვატსონი თბილისში 1993 წლის დასაწყისში იმ მიზნით ჩამოვიდა, რომ განეგრძო მუშაობა რუსთაველის თეატრთან. ბედის უკუღმართობის გამო მან ვერ შეძლო თავისი პროექტის განხორციელება, მაგრამ რამდენიმე კვირის შემდეგ, ბენდიერი შემთხვევის წყალობით, ეწვია თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიას. აქ იგი შეხვდა ედიშერსა და იოსებს და მთლიანად ჩაეფლო ქართულ პოლიფონიაში. იგი ეწვია ბევრ ქართულ სუფრას. ამბები, რომელსაც იგი ყვებოდა არაჩვეულებრივ და გასაოცრად მდიდარ სტუმარ-მასპინძლობაზე, ღვინოებზე, საჭმელზე, რომლებიც შერეული იყო მძაფრ გრძნობებთან, ხიფათთან და სათავგადასავლო მოგზაურობასთან, მარკო პოლოს მახსენებდა. ნიგელმა მოგზაურობიდან ჩამოიტანა დიდი გატაცება, რომელსაც ვერც ერთი ჩვენთაგანი ვერ იწინასწარმეტყველებდა.

რამდენიმე დღის შემდეგ, მე გადავწყვიტე გამეშალა ქართული სუფრა, როგორც კონფერენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წვეულება. ცხადი იყო, რომ ჩვენ გვჭირდებოდა რეცეპტები და პროდუქტები (სხვა რომ არაფერი ვთქვათ მზარეულზე) რათა კერძებს ჰქონოდათ ნამდვილი გემო და არომატი. ეს კი, თავის მხრივ, გულისხმობდა იმ მსახიობების, მეცნიერების და გურმანების შეგროვებას, რომელთაც ცოტა რამ იცოდნენ ქართული სამზარეულოს შესახებ. შემდეგ დადგა ღვინის საკითხი. იყო კი საერთოდ შესაძლებელი გვეშოვნა ქართული ღვინო? და როგორ უნდა წაგვემართა ქართული სუფრა, როდესაც ვიცოდით, რომ ის შეუძლებელი იყო ქართული სადღეგრძელოებისა და სიმღერების გარეშე. შევძლებდით ჩამოგვეყვანა პატარა გუნდი საქართველოდან? ღირდა კი ამის გაკეთება ასეთი მოკლე ვიზიტისათვის? როგორც ხშირად ხდება, შემოქმედებითი მიდგომა არა მხოლოდ აგვარებს მოულოდნელად წამოჭრილ პრობლემას, არამედ ასევე ამოატივტივებს ახალ შესაძლებლობებს. მემკვიდრეობა შეიძლება გამოვიკვლიოთ, მაგრამ ხშირად მისი სათავეები საკმაოდ ბუნდოვანია.

მე ვკითხე ჯოანს – თუ ნიგელი შეძლებს დაგვაკავშიროს მასწავლებლებთან თბილისიდან და ჩვენ შევძლებთ მათ დაპატიჟებას-ჩამოყვანას – უელსში, შეძლებ ჩამოაყალიბო 20-30 კაციანი გუნდი? შეძლებენ ისინი 10 დღის განმავლობაში შეისწავლონ რეპერტუარი? მე მახსოვს მისი პასუხი: დიახ, მაგრამ მომღერლები არ იქნებიან მხოლოდ მამაკაცები და იმედი ნუ გექნება, რომ ვისწავლით ამდენ სიმღერას ასეთ ცოტა დროში.

ერთია, გქონდეს იდეა და ენთუზიაზმი, ხოლო სულ სხვაა, შეძლო მისი განხორციელება. ედიშერისა და სოსოს ჩამოყვანა უელსში დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, ურთიერთობები იმ დროს გაძნელებული იყო და

საჭირო ვიზებისა და უფლებების მოსაპოვებლად მოსკოვში გვიხდებოდა ჩასვლა. ჩვენი იდეა – გაგვეშალა ნამდვილი ქართული სუფრა, შესაბამისი სიმღერებით, სადღეგრძელოებით, ზუსტი რეცეპტებით, განსაკუთრებული მწვანე-ლექსით, ინგრედიენტებითა და სანელებლებით, ბევრს სიგიჟედ ეჩვენებოდა. მე შევხვდი 12 მზარეულზე მეტს, სანამ ვიპოვიდი მზარეულს, რომელიც მზად იყო ამ საქმისათვის. ამ მოვლენამდე 2 კვირის განმავლობაში ის ვარჯიშობდა კერძების მომზადებაში დარა გოლდსტეინის წიგნიდან საქართველოს კულტურისა და გემრიელი საკვების შესახებ – „ქართული ნადიმი“, რათა ენახა, რომელი კერძების შექმნას შეძლებდა 160 ადამიანისათვის.

რატომ არ მივუახლოვოთ, შევცვალოთ ან შევქმნათ რაიმე ჰიბრიდული, შერწყმული საჭმელი, შევძლებთ თუ არა იგივეს გაკეთებას მუსიკაში? როდესაც ტოკიოს ფილარმონიის ორკესტრი ასრულებს ბახს, ცდილობს თუ არა იგი, რომ სხვა კულტურის ნაწარმოები მიუახლოვოს თავის კულტურას, ან ცდილობს თუ არა ჩინეთის ნაციონალური ბალეტი, გაითავისოს კლასიკური ბალეტის მოძრაობები და მიუსადაგოს ისინი თავის საკუთარ კულტურას? ასეთი ადაპტაცია მხოლოდ ზიანს მოუტანს და აზრს დაუკარგავს საქმეს. როგორ ვინყებთ სხვა კულტურის სირთულეებისა და უძველესი ტრადიციის გაგებას, რომელიც ღრმადაა ჩანერგილი მათ სტრუქტურაში? ადაპტაცია და შეცვლა ქედმაღლობისა და ასიმილაციის სტრატეგიის აქტს მაგონებს. განსხვავებულობისადმი პატივისცემა და ამავედროულად, კომპრომისის გარეშე სირთულეების (მოცემულ შემთხვევაში, მუსიკალური სტრუქტურისა და სამზარეულოს), დასაძლევად ბრძოლა კი, შემოქმედებით შეჯიბრს გავს.

სანამ მე ვაგრძელებდი ნადიმისათვის მზადებას, ჯოანმა შექმნა გუნდი. ეს გუნდი მუშაობდა მთელი კვირის განმავლობაში, ხოლო ზოგიერთი მათგანი, ვისაც დრო ჰქონდა, დამატებით მეცადინებოდა. ჯგუფმა ისწავლა სხვადასხვა რეგიონის 18-მდე სიმღერა. ეს იყო სიმღერები, რომელიც შეესაბამებოდა ამ წვეულების სადღეგრძელოებს. კონფერენციის 160 დელეგატი ნასიამოვნები დარჩა არა მარტო ქართული განუმეორებელი სუფრით, არამედ ედიშერის თამადობითაც, რომლის სადღეგრძელოებსაც თარგმნიდა სოსო. სადღეგრძელოები ითქვა: მშობლების შესახებ, განსაცდელში მყოფებზე, ავადმყოფებზე, მონატრებაზე, მეგობრებზე, მიცვალებულებზე, საქართველოზე. მათ, ვინც სოსოსთან და ედიშერთან მუშაობდნენ, იცოდნენ მათი ქვეყნის სოციალური და პოლიტიკური სირთულეების შესახებ, იმ ბრძოლის, ზიანისა და ძალადობის შესახებ, რის გამოც ჩვენი მეგობრები და მათი ოჯახები მუდმივ შიშსა და გასაჭირში ცხოვრობდნენ. ეს ხალხი ცრემლით იხსენებს ედიშერისა და სოსოს კეთილშობილურ, თანაგრძნობით სავსე სადღეგრძელოებს და მათ მონაწილეობას სიმღერებში, რომელთა უცნაური ინტერვალები და მდიდარი ჰარმონია უკვე ასეთი საყვარელი და ახლობელი გამხდარა მათთვის.

სალამოს ბოლოს ყური მოვკარი ახალგაზრდა თეატრალური პრაქტიკანტის ჩივილს: „წარმომიდგენია, რა ძვირი დაჯდება ქართული გუნდის ჩამოყვანა თბილისიდან დღევანდელი სალამოსათვის – ალბათ საშემსრულებლო კვლევის ცენტრმა უზარმაზარი გრანტი მიიღო „უელსის ხელოვნების საბჭოსაგან...“

ყველა ძალიან განვცვიფრდით, როცა გავიგეთ, რომ ხალხის საკმაოდ დიდ ნაწილს სჯეროდა, რომ მართლაც ნამდვილ ქართულ გუნდს უსმენდა და ამავ დროს, არ გაგვეკვირვებია, რადგან ვაცნობიერებდით, რომ გუნდს მართლაც შესანიშნავი მასწავლებლები ხელმძღვანელობდნენ. ედიშერმა და სოსომ ძალიან დადებითი ატმოსფერო შექმნეს სწავლისა და განვითარებისათვის. ორივე კარგი და მომთხოვნი აღმზრდელი იყო, ისინი ზუსტად და მკაფიოდ ასწავლიდნენ, არ მიდიოდნენ კომპრომისზე და მუშაობდნენ სწორი, ნამდვილი პოლიფონიის მისაღწევად.

თანამედროვე თეატრალურ პრაქტიკაში ინოვაცია არის ის, რასაც ჩემი ცენტრი უელსში გზას უკვალავს და ყველა პირობას უქმნის. მაგრამ ჩვენ ყოველთვის ვამბობთ, რომ გვანტერესებს კავშირი ინოვაციასა და ტრადიციას შორის. ხშირად ჩვენ ხელს ვუწყობთ თარგმანსა და ცვლილებებს სპექტაკლის შექმნის ახალი მეთოდებისა და მიდგომების გათვალისწინებით. მაგრამ ეს პროექტი იყო ვარჯიში აუთენტურობაში, მიუნხდომელის მისაღწევად ბრძოლაში, რადგან ვიცოდით, რომ ეს პატივისცემასა და ჩანაფიქრის განხორციელებას მოგვიტანდა. ანთროპოლოგ ვიქტორ ტერნერის სიტყვებით თუ ვიტყვით, სხვა კულტურის სიმღერების მღერა – ესაა ამ კულტურის შეცნობის დასაწყისი.

რაც შეეხება საჭმელს, გვექონდა 12 განსხვავებული, მათი შორის, რამდენიმე ქართული მადის აღმძვრელი კერძი: ბადრიჯნის ხიზილალა, ისპანახის ფხალი, კომბოსტოს რულეტი ხვეულა, ნითელი ლობიო, თევზი ბრონეულის წვენში, ჩანახი, ტაბაკა, ტკბილეული, ხილის ნამცხვრები და დაშაქრული თხილი.

ეს მართლაც დიდებული იყო!

მაგრამ, სამწუხაროდ, არ იყო ქართული ღვინო, რომელიც ფრანგულს, ავსტრალიურს, თუნდაც უელსურს შეცვლიდა.

თარგმნა ნინო ხიფუშელმა

ქართული სიმღერა უელსში და მის ფარგლებს გარეთ

ნანილი მკორა

ქართული სიმღერისადმი ინტერესის განვითარება 'საზოგადო საგუნდო' მოძრაობასა და საშემსრულებლო მეცადინეობაში

პრეზენტაციის ამ ნაწილში აღწერილი იქნება, თუ როგორ გააღვივა ედიშერ გარაყანიძისა და იოსებ ჟორდანიას თავდაპირველმა ვიზიტმა დიდ ბრიტანეთში ინტერესი ქართული სიმღერისადმი, რომელიც დღესაც გრძელდება. დაისმის კითხვა: რატომ მოიცვა ქართულმა სიმღერამ დასავლეთის „საზოგადო საგუნდო მოძრაობა“ და მაგალითად მოტანილია ჯონ მილზის გუნდი.

ავტორი აღწერს, თუ როგორ გამოიყენა ქართული სიმღერის ელემენტები ახალი თეატრალური ნაშრომების შექმნისას; იგი თავად შეეცდება ახსნას, რა გავლენას ახდენს ქართული სიმღერა და როგორ გახდა ის მისი მოღვაწეობის ნაწილი ხმის დამუშავების პრაქტიკაში.

არიან ადამიანები, რომელთა გამოჩენა ცხოვრებაში მთლიანად ცვლის მის არსს. როცა პირველად ვხვდებით ამ ადამიანებს, ვერ ვფიქრობთ, რომ შეიძლება ასე მოხდეს. ასეთი რამ ჩემს ცხოვრებაში მოხდა მაშინ, როდესაც პირველად შევხვდი და გავიცანი ედიშერ გარაყანიძე და სოსო ჟორდანიას. მე მხოლოდ იმაზე ვზრუნავდი, რომ არ გამეცრუებინა იმედეები, როცა ისინი ქართულ ხალხურ სიმღერას შეგვასწავლიდნენ წვეულებისათვის „შესრულება, საჭმელი და კულინარია“. როგორც თეატრის სპეციალისტი, მე მსახიობებს ვამეცადინებ ვოკალში. მრავალი წლის განმავლობაში ვიყავი სიმღერის სესიების ხელმძღვანელი და მართლაც, „კარდიფის ქართული გუნდის“ მონაწილეები ძირითადად ჩემი საერთო სიმღერის კლასის წევრები და ჩემი სტუდენტები იყვნენ. ზოგიერთი მათგანი მეცადინეობის პირველ დღეს ძალიან ნერვიულობდა და მთხოვეს, ედიშერთან და სოსოსთან შეხვედრამდე მათი ხმები დამემუშავებინა. მეცადინეობის 10 წუთის შემდეგ მე დავრწმუნდი – ჩვენი ახალი ქართველი მეგობრები იფიქრებდნენ, რომ ბრიტანელები ძალიან უცნაურები არიან, რომელთაც ურთულესი ჰარმონიის შესასწავლად ოლიმპიური მეცადინეობები სჭირდებათ. იმ დღიდან დაიწყო უჩვეულო მოგზაურობა ახალ მუსიკალურ სამყაროში, რომელიც, ერთი შეხედვით, ეგზოტიკური და უცხო ჩანდა. ეს ყველაფერი თითოეულმა ჩვენგანმა სწრაფად შეიგრძნო, კულმინაცია კი ერთი კვირის შემდეგ გამართული ბრწყინვალე საღამო იყო, რომელიც რიჩარდმა უკვე აღწერა. რატომ დაინტერესდა დიდი ბრიტანეთი საქართველოს ტრადიციული ჰარმონიით, რომელიც ასე გავრცელდა და განვითარდა ამ ქვეყანაში?

ბრიტანულ ტელევიზიაში არის პურის რეკლამა, რომელიც გვეუბნება: „თუ თქვენ მას გემოს გაუსინჯავთ, მაშინ ვეღარ შეჩერდებით“. უმარტივესი პასუხი კითხვაზე, თუ რატომ გვიჩნდება სურვილი ამ სიმღერების შესრულებისა, ის არის, რომ ჩვენ მას უკვე გავუსინჯეთ გემო. საშემსრულებლო

კვლევის ცენტრმა ხმის სესიის ორგანიზება 1980 წლიდან დაიწყო. ჩვენ ვაკეთებთ სესიების ახალი სერია და ლექციები მივუძღვენით ახალი საშემსრულებლო ხმების აღმოჩენას (GIVING VOICE, 1990წ.). ჩვენ ნასიამოვნები და ამავე დროს გაკვირვებულები ვიყავით იმ დიდი ინტერესით ქართული სიმღერებისადმი, რომელიც დამსწრე საზოგადოებამ გამოიჩინა. სასიამოვნოა, რომ ეს ინტერესი კვლავ გრძელდება.

მე და ელენ ჩედვიკმა ვიცოდით, რომ ედიშერი კიდევ რამდენიმე კვირა იმუშავებდა ევროპაში, ამიტომ ვთხოვეთ მას კვლავ ჩაეტარებინა სესიები კარდიფსა და ლონდონში თებერვლის შუა რიცხვებში. ამ ფაქტით ძნელია ქართული სიმღერის განვითარების ზუსტი სქემის დადგენა დიდ ბრიტანეთში. ამ განვითარებას ორი გზა ჰქონდა: პირველი უელსიდან, ხოლო მეორე – ლონდონიდან. უელსში „საშემსრულებლო კვლევის ცენტრმა“ ედიშერი და სოსო მიიწვია Giving Voice-ის პროექტზე 1995 წელს („ხმის გეოგრაფია“). ედიშერი ასევე ჩამოვიდა 1996 წელს „ხმის არქეოლოგიის“ პირველ შეხვედრაზე. რამდენიმე ადამიანმა, ვინც ამ მოვლენებს ესწრებოდა, შესთავაზა ქართველ მუსიკისმცოდნეებს, მიელოთ მიწვევა და გაეღრმავებინათ ქართული სიმღერის განვითარება დიდი ბრიტანეთის დანარჩენ ნაწილებში და უელსის ფარგლებს გარეთ, აგრეთვე ინგლისში, შოტლანდიასა და ირლანდიაში. ერთხელ ელენმა ედიშერი მიიწვია ნაციონალური თეატრის სტუდიაში (ლონდონი). ალბათ, უცნაური ფაქტია, რომ ყოველი მიწვევის ინიციატორი თეატრის ორგანიზაცია იყო და არა მუსიკალური ინსტიტუტი.

1996 წელს Giving Voice-ზე ედიშერმა მოგვმართა მე და რიჩარდს წინადადებით, შეგვექმნა სამუშაო წიგნი ქართული მრავალხმიანობის შესახებ, რომელიც განკუთვნილი იქნებოდა დასავლეთ ევროპის მომღერლებისათვის. ჩვენ შევეუთანხმდით CPR-ს, რომ ის დაბეჭდავდა წიგნს და იქნებოდა ცენტრის „შავი მთის პრესის“ სერიის ერთ-ერთი ნაწილი. მომდევნო წლებში მე და ედიშერი რეგულარულად ვმუშაობდით ამ წიგნზე, რომელსაც მან „99 ქართული ხალხური სიმღერა“ დაარქვა. მანვე დაწერა წიგნის წინასიტყვაობა და CPR დათანხმდა დაეფინანსებინა მისი გადათარგმნა. 1997 წელს ჩვენ ვთხოვეთ ედიშერს რამდენიმე დღით დარჩენა, რათა გვესაუბრა წიგნის შესახებ და ჩაეტარებინა სესია აბერვისში. სესიის დროს ჩემი ანსამბლის წევრებს საშუალება მიეცათ, რომ თვით ედიშერს ესწავლებინა მათთვის სიმღერები. ისინი არასოდეს დაივინყებენ ედიშერის სწავლების უბრალო და სასიამოვნო მანერას.

ნოემბერში ჩვენი შეხვედრა არაჩვეულებრივი იყო. ჩვენ განვაგრცეთ წიგნის შექმნის გეგმა და გადავწყვიტეთ, სიმღერები ჩაგვეწერა კომპაქტურ დისკებზე და დაგვეერთო მაგალითები, რუკები, სურათები და ვიზუალური მასალა. ედიშერი დარწმუნებული იყო, რომ ეს მართლაც სასარგებლო იქნებოდა. მან თქვა: „ეს წიგნი არ არის განსაზღვრული ეთნომუსიკოსებისათვის. ეს არ არის ტექნიკური ან აკადემიური წიგნი. ეს არის დასავლეთის მომღერლებისათვის, ვისაც სურვილი აქვს ისწავლოს ქართული ხალხური სიმღერები და იცოდეს მათი მნიშვნელობა, წარმომავლობა, შესრულების სტილი და სხვ.“.

იმ პერიოდში ედიშერი ძალიან დაკავებული იყო და წიგნზე მუშაობის დრო არ ჰქონდა. დროის უქონლობის მიუხედავად, ჩვენ „მთიების“ სამომავ-

ლო გეგმებზე ვისაუბრეთ – „მთიების“ Giving Voice-ზე ჩამოსვლაზე 1999 წელს. ცოტა ხანს ეს მხოლოდ ოცნება იყო: გვყოლოდა მთელი გუნდი პროექტზე. „ხმის ღვთაებრიობა“ (A Divinity of the Voice) – შესანიშნავი კონტექსტი იყო მათ მოსაწვევად.

სამწუხაროდ, ეს ოცნება აუხდენელი დარჩა. „მთიები“ 1999 წელს Giving Voice-ზე ედიშერის გარეშე ჩამოვიდა. ამის მიზეზი გახლდათ მისი უდროო ტრაგიკული სიკვდილი მეუღლესთან და ქალიშვილთან ერთად (1998 წლის სექტემბერი). ამ საშინელი ფაქტის შემდეგ, როცა ოდნავ გამოვედით შოკიდან, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ბოლომდე მიგვეყვანა მისი დაწყებული საქმე. 1999 წლის Giving Voice-ის კონფერენციაზე ჩვენ მივიწვიეთ სოსო ჟორდანიას. მე და რიჩარდმა სოსოსთან, „მთიებთან“, ელენ ჩედვიკთან და კაროლინ ბისელთან ერთად შევიმუშავეთ წიგნის გაგრძელებისა და დასრულების გეგმა, რომლის დაბეჭდვაც გვინდოდა ედიშერის ხსოვნის უკვდავსაყოფად, აგრეთვე იმისათვის, რომ ის ნამდვილად საჭირო იყო. მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა და სირთულისა „99 ქართული ტრადიციული სიმღერა“ მალე დასრულდება და იმედი გვაქვს, რომ ის მზად იქნება 2003 წლის ბოლოს.

თავის შენიშვნებში ქართული სიმღერის სესიისათვის, ედიშერი წერდა: „ყველას, გამონაკლისის გარეშე, სიმღერის უნარი აქვს, ისევე როგორც სიცილის, ტირილისა. ეს ღმერთისგანაა. უმრავლესობა მხოლოდ მაშინ მღერის, როცა მარტოა, რადგან ერიდება სხვასთან ან სხვისთვის მღერა. ეს იმ სიამოვნების ნახევარია, რასაც მუსიკა გვაძლევს ერთად სიმღერის დროს. ამ დროს ჩვენ საშუალება გვძლევს, ვიფიქროთ სხვა ადამიანზე, გავილოთ მისთვის რაიმე, და ამავე დროს, თვითონ ვიპოვოთ ამაში სიამოვნება. თქვენი და ჩემი სიამოვნება ერთად – ბედნიერებაა“.

რიჩარდის მსგავსად, მე არ ვარ ეთნომუსიკოლოგი. მე ბუნებით მომღერალი ვარ, ხოლო პროფესიით თეატრალური რეჟისორი და ვკითხულობ ლექციებს ხმასა და შესრულებაზე. რატომ გავაგრძელე პირველი ექსპერიმენტის შემდეგ სიმღერების შესწავლა და მათი გამოყენება 1994 წელს?

სიმღერების მნიშვნელობა მხოლოდ მათ „შესრულებაზე“ არ არის დამოკიდებული. ისინი ეკუთვნიან საზოგადოებას და ალბეჭდილი არიან ადგილის, კუთვნილებისა და თვითმყოფადობის გრძნობით. ისინი იმ რეგიონის ისტორიისა და მითოლოგიის გაგრძელებაა, რომლიდანაც მოდიან. ის, რაც ამ სიმღერებს ბრიტანეთის ბევრი სიმღერისაგან განასხვავებს, გახლავთ ის ფაქტი, რომ ისინი განაგრძობენ არსებობას, ანუ მათ ასრულებენ. თუმცა, შესაძლოა, შესრულების მიზანი და გარემოება ყოველთვის პირველადი არ იყოს, მთავარი ისაა, რომ ისინი ჯერ კიდევ იკავებენ ადგილს ყოველდღიურ ცხოვრებაში, სუფრასთან და გამოხატავენ საზოგადოების იმედებს, გრძნობებს და სიმპათიებს. ბევრმა ჩვენმა სიმღერამ დიდი ხანია დაკარგა პირდაპირი კავშირი იმ ცხოვრებასთან, რომელსაც ახლა ვწევით, მათ იცნობენ და ასრულებენ მხოლოდ სპეციალურ ხალხურ კლუბებში, საზოგადოების იმ მცირე ნაწილისათვის, რომელიც დაინტერესებულია ხალხური სიმღერით. რა თქმა უნდა, ეს სიმღერები ჯერ კიდევ გვახსენებენ, გადმოგვცემენ ჩვენი წინაპრების ხმებს, მაგრამ ეს შორეული და უმეტესად ინდივიდუალური, სოლო ხმებია. ჩვენ უძველესი პოლიფონიური ტრადიცია

არ გაგვაჩნია, უელსში ერთადერთ ხალხურ ჰარმონიას წარმოადგენს „plyg-ain“ (სამობაო სიმღერა, რომელსაც სწავლობდნენ სმენით და მემკვიდრეობით გადასცემდნენ ოჯახებს). ამ სიმღერას ასრულებდნენ უელსის რამდენიმე ნაწილში შობის დილას, ბიბლიური ტექსტის რიტმული გალობით. უფრო საინტერესო ჰარმონია განვითარდა უელსში ხმისა და ინსტრუმენტის ურთიერთქმედებით, ვიდრე ხმის ხმასთან ურთიერთქმედებით. ჰარმონიული სიმღერების დიდი ნაწილი საეკლესიოა და ვიქტორიანული დროისაა, ხშირად წერილობითი, ვიდრე ზეპირი. როცა ერთხელ მოვისმინეთ ქართული ტრადიციული სიმღერის ჰარმონიას, ჩვენ ვგრძნობთ მის საჭიროებას, სიმღერები გვესაუბრებიან. შესაძლოა, ისინი იმ მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ ჩვენში, რასაც სოლო მელოდია, როდენ ლამაზიც უნდა იყოს, ვერ დააკმაყოფილებს.

ბოლო 30 წელია ბრიტანეთში არსებობს „საზოგადო საგუნდო მოძრაობა“, რომლის კარი ღიაა ყველა მსურველისათვის. ამ მოძრაობის წევრები არ არიან პროფესიონალი მომღერლები და ძირითადად მღერიან *a capella*. ამ გუნდის რეპერტუარი შედგება მსოფლიოს მრავალხმიანი ხალხური სიმღერებისაგან. ეს სიმღერები არ საჭიროებენ კარგ, დამუშავებულ ხმებს და მათი შესწავლა ხდება სმენით. მათ სჭირდებოდათ „ბუნებრივი ხმები“. ეს სიმღერები არ ინერებოდა ქალაქებში, არამედ გადაეცემოდა სმენით. ისინი არ საჭიროებდნენ დროის მკაცრ შეგრძნებას, რომელიც ტექნიკურად იყო აღსაქმელი, მაგრამ მოითხოვდნენ პულსაციის, ჯგუფური სუნთქვის ან ცეკვის და მოძრაობის რიტმულ შეგრძნებას, რომელიც სიმღერას მიეკუთვნებოდა. ეს სიმღერები იყო სულებისა და გულების შეერთება. საზოგადო გუნდები თავისუფალი იყო რაიმე შეზღუდვებისაგან.

უელსი ყოველთვის იწონებდა თავს ძლიერი გუნდის, ჰარმონიის ტრადიციებით, მაგრამ ეს ტრადიციები ძალიან ძველი არაა. დათარიღებულია XVIII-XIX საუკუნეებით და მოდის მოძრაობიდან *Methodist Religious Revival* („მეთოდისტთა რელიგიური აღმავლობა“). ეს იყო შედეგი სასოფლო საზოგადოების საბოლოო განვითარებისა უელსში, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა მაღაროელ მამაკაცთა დიდი გუნდები. მათი სიმღერები იყო უელსის ჰიმნები, სამი ან ოთხხმიანი ჰარმონიით, ზოგიერთი მათგანი ეფუძნებოდა ტრადიციულ ხალხურ მელოდიაებს. ახლა უელსში ქალთა გუნდებიც არსებობს. ზოგი კვლავ პოპულარულ ხალხურ სიმღერებს ასრულებს, თუმცა ისინი მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისზე ძველი არაა და მათი რეპერტუარი მოიცავს ფრაგმენტებს მიუზიკლებიდან და საგუნდო ვერსიების პოპულარულ სიმღერებს, აგრეთვე ძველ უელსურ ჰიმნებს. არც ამ გუნდებს, არც ამ იშვიათ ხალხურ ჰარმონიას შეუძლია შექმნას ისეთი პირობები, რომელშიც თანამედროვე უელსის ჩვეულებრივი მომღერლების მზარდი რაოდენობა იგრძნობს მონაწილეობის მიღების რეალურ შესაძლებლობას.

როცა პირველად მოვისმინე ქართული სიმღერა, მაშინვე მივხვდი, რომ ამ სიმღერებს ჩემი საზოგადო გუნდის მომღერლებისათვის განსხვავებული და მნიშვნელოვანი გამოცდილების შეთავაზება შეეძლო. ქალებისათვის, რომლებმაც სიმღერა არაბუნებრივად მაღალი სოპრანოთი დაიწყეს (რაც ჩვენი სკოლისა და სიმღერის მასწავლებლების საეკლესიო გუნდების მომღერლების კლასიკურ რეპერტუარშიც აისახა), სასიხარულოა ისეთი ღრმა ტონის – შუა

ხმისა და ბანის, ან უმაღლესი ხმის ალება, რომელიც არასოდესაა ქალისათვის მაღალი, რაც საშუალებას აძლევს დაუმუშავებელ ხმას, იმდროს დაძაბულობის, ზედმეტი დაჭიმვის გარეშე და თავდაჯერებულობის გრძობით. მაგრამ, ყველაფერზე მაღლა დგას სიმღერების ნყოფა, რომლის უგულვებლყოფაც არ შეიძლება: ინტერვალები; რიტმული კონსტრუქციების ურთიერთქმედება; ჰარმონიების თვისებები, რომლებიც გულსა და ემოციებს ღრმად ეხება – ეს ის ფაქტორებია, რომლებიც ქართულ სიმღერებს ასეთი მდიდარი შესწავლისა და განვითარების საგანს ხდის მომღერლებისა და შემსრულებლებისათვის. მღერის მიზანია სიმღერების შესრულება ზუსტ ადგილას და მომენტში. შემდეგ უკვე იგრძნობა სიამოვნება. სიმღერა ხომ თავისთავად გაცემისა და მიღების პროცესია.

მე შეგახსენებთ ედიშერის წინასიტყვაობას „მთიების“ ლაზერული დისკიდან, რომელშიც ის ანსამბლის ჩამოყალიბებაზე საუბრობს: „თავდაპირველად, ჩვენ არც კი ვფიქრობდით, შეგვექმნა დასი. ერთი, რაც გვსურდა, ეს იყო ერთად მღერა და მართლაც კარგი რამ არის იმდრო მეგობრებთან ერთად. სხვა დასებისაგან განსხვავებით, ჩვენ არ ვეძებთ კარგ მომღერლებს. ჩვენ ვართ მეგობრების წრე, რომლებსაც გვიყვარდა სიმღერა და შემდეგ გავერთიანდით. „მთიებში“ არ არიან პროფესიონალი მუსიკოსები. გენიალური ხალხური მუსიკა არ საჭიროებს პროფესიულ მუსიკალურ განათლებას. მე პროფესიონალი მუსიკოსი ვარ და ყოველთვის მშურს ჩემი მეგობრების, რომლებიც თავისუფალნი არიან აკადემიური ნორმებისაგან“.

ბევრი თეატრალურ შემსრულებელთაგანი, ვისთანაც მე მიწვევს მუშაობა, გრძნობს, რომ არ არის კარგი შემსრულებელი. საკუთარი თავისადმი უნდობლობა მოქმედებს ხმის ხარისხსა და დიაპაზონზე. როცა ჩემს გუნდთან ქართულ სიმღერებზე ვმუშაობ, მე მათ პატარა ფრაზებით ვასწავლი, რომ შეძლებისამებრ გაიგონ ტონალობა, შეიგრძნონ ინტერვალები და რიტმული კონსტრუქციები, რომლებიც სიმღერაშია გამოყენებული. მაგრამ დიდი სიამოვნებაა, როცა ისინი ამ სიმღერებს თავიდან ბოლომდე ასრულებენ. მას, ვისაც ეშინია, რთული ეჩვენება იგი, რადგან მხოლოდ სიმღერის ერთ პატარა ნაწილს იმახსოვრებს. სწავლება ძირითადად მიმდინარეობს სმენით და მე ახლო ურთიერთობა მაქვს გუნდთან. ის სტუდენტები, ვისაც არასოდეს უმღერია ხმის მთელი დიაპაზონით, ანუ, ნამდვილად არასოდეს უმღერიათ, უეცრად გრძნობენ სურვილს, ჩაულრმავდნენ და გამოიკვლიონ ხმის ძლიერი და ფართო შესაძლებლობები. ის, ვისაც სიმღერა ძნელი ეჩვენებოდა, მიხვდა, რომ ხმის გამოყენება მართლაც ფიზიკური მოვლენაა. ცნობილი ინგლისელი პოეტის, ჩოსერის სიტყვებით რომ ვთქვათ:

*ხმა არის, მაგრამ სმენა არ არის
და ყოველი სიტყვა, რომელიც ოდესმე თქმულა
ხმამაღალი ან უწყინარი, ბოროტი ან კეთილი მატერიაა
ხოლო სმენა, როგორც ცეცხლი არ არსებობს კვამლის გარეშე,
ისე ხმა არ არსებობს სმენის გარეშე.*

(ჯეფრი ჩოსერი: დიდების სახლი, 1375)

ის, ვინც გრძნობს, რომ სიმღერას არაფერი აქვს საერთო თამაშთან, აანალიზებს მთელი ხმის ძალას, ცდილობს ურთიერთობა დაამყაროს ღია, ბუნებრივი მღერით, ის გრძნობს პულსსა და სუნთქვას, ღრმა ემოციურ კავშირს სიტყვებსა და ჰარმონიებთან, რომლებიც განვითარდება და გასაგები გახდება ამ სიმღერებზე მუშაობის მეშვეობით.

სანამ მე დავიწყებდი ქართული სიმღერების ჩართვას ჩემს საშემსრულებლო მეცადინეობაში, სხვადასხვა სავარჯიშოებს ვიყენებდი:

- სმენითი უნარის გაუმჯობესება.
- ბუნებრივი ურთიერთობა სხვა შემსრულებლებთან.
- სხვა მსახიობების რიტმთან და სუნთქვასთან შეწყობა.
- სხვა მსახიობთა ემოციების ცვალებადობასთან სწრაფი კავშირი.

როცა მე ქართულ ხალხურ სიმღერებზე ვმუშაობ, ერთი სიმღერის შესწავლა მეცადინეობის მთელ სივრცეს მოიცავს. თუ მე შემდეგ სიმღერას ფიზიკურ მოქმედებას, ხარისხსა და სიტუაციას ვუკავშირებ, საშემსრულებლო ტექნიკა უფრო ადვილად ვითარდება და სტუდენტი დიდ წარმატებას აღწევს. სტუდენტებს ეჩვენებათ, რომ უბრალოდ, სიამოვნებით მღერიან ერთად.

ქართული სიმღერისადმი ინტერესი სულ უფრო მეტად მიმძაფრდება. „მთიების“ ვიზიტმა დიდ ბრიტანეთში, მათმა შესრულებამ და მეცადინეობამ გიგი გარაყანიძის ხელმძღვანელობით, საშუალება მოგვცა, გავცნობოდით „მთიების“ შემსრულებლების ახალ თაობას. სწორედ „მთიების“ და სხვა ქართული ანსამბლების ვიზიტებმა გააღრმავეს და განავითარეს ქართული ხალხური სიმღერისადმი ინტერესი დიდ ბრიტანეთში.

უკანასკნელი საქველმოქმედო აქცია ელენის ხელმძღვანელობით გახლდათ Water Aid ტემზის ფესტივალზე ლონდონში. მასში მონაწილეობა მიიღო ქართული სიმღერის შემსრულებელმა 350-ზე მეტმა კაცმა 25 საზოგადო გუნდიდან. ამ ფესტივალში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ჩემმა და ვენის მენლის გუნდმა, რომელიც თბილისის სიმპოზიუმის მონაწილეცაა.

მე დარწმუნებული ვარ, ედიშერი გახარებული იქნებოდა, რომ სცოდნოდა: ის პატარა ცეცხლი, რომელიც მან და სოსომ დაანთეს, დღეს უფრო ძლიერ ანათებს. და სწორედ ეს ცეცხლი გვანათებს და გვათბობს უელსის ცივ დღეებსა და ბრიტანულ ბნელ ღამეებში. გაერთიანებული სამეფოს ქართული სიმღერის მომღერლები მადლობელნი არიან და კვლავაც დიდი ენთუზიაზმით სწავლობენ, უსმენენ, ესწრაფვიან ქართულ სიმღერებს და ითავისებენ ამ ტრადიციებს, როგორც საკუთარს.